წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. მეორე სართული.

ფასი 5000 მანეთი.

კვირა, 28 მაისი 1922 წ.

საქართველოს შეერთებულ ბრიგადის პოლიტგანყოფილების ორგანო

№ 50.

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული.

რა არის დღესასწაული?

დღესასწაული უსათუოდ რაიმე იდეის მატარებელია.

არის ხალხური, საეკლესიო და ეროვნული დღესასწაულები. ყველა ამ დღესასწაულებს თავისი განსაკუთრებული შინაარსი აქვთ.

საქართველო დამოუკიდებლობა ეს ეროვნული დღესასწაულია.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ერი სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასებისაგან შესდგება.

და ცხადია, რომ ყველა ეს კლასები საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს ერთნაირი აღფრთოვანებით ვერ ხვდებიან.

რაც ახარებს ბურჟუაზიას, რასაკვირველია ვერ გაახარებს მშრომელ ხალხს.

ჩვენის შეხედულებით ის არის ნამდვილი ეროვნული დღესასწაული, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ერის უმრავლესობა-მშრომელი ხალხი.

ასეთი შეხედულებით უნდა მივუდგეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს, რომელიც 26 მაისს უნდა გვედღესასწაულებია და გამოვარკვიოთ საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაული 26 მაისია თუ 25 თებერვალი, რომელიც შეფარდებულია საქართველოს საბჭოს პირველ ყრილობის დღესთან.

საქართველოს უმაღლესი მთავრობა ადგენს საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობის დღესასწაულად აღიარებული იქნას 25 თებერვალი. რატომ 25 თებერვალი და არა 26 მაისი?

აი რატომ:

ოთხის წლის წინად, 26 მაის, მენშევიკებმა გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა. თხოულობდა თუ არა ამ დამოუკიდებლობას ქართველი მშრომელი ხალხი?

რასაკვირველია, არა!

მართალია, მენშევიკებმა გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა,

მაგრამ ნამდვილათ ეს დამოუკიდებლობა იყო რუსეთის რევოლიუციისაგან და დამოკიდებულება კი ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, ესე იგი მსოფლიო კონტრევოლიუციასთან.

ცხადია, რომ ასეთ დამოუკიდებლობას არ მოითხოვდა ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესები.

და ჩვენ ვიცით თუ „დამოუკიდებელ“ საქართველოში სამი წლის განმავლობაში რამდენი აჯანყებები მოხდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში: სამეგრელოში, ლეჩხუმში, გურიაში და სხვაგან.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში რევოლიუციის ცეცხლი დღითიდღე იზრდებოდა.

ჩვენ გვახსოვს როგორ მიეჯანებოდა უბსკრულისაკენ მენშევიკების წყობილება. და აი 25 თებერვალს აღსრულდა ქართველი მშრომელი ხალხის დიდი ხნის ნატვრა:

საქართველოს მენშევიკური მთავრობა დაემხო, მენშევიკები საქართველოდან გაიქცნენ, რომლებმაც თან გაიტაცეს ხალხის სიმდიდრე.

ძველი წყობილების მაგიერ საქართველოში მკვიდრდება ახალი წყობილება—მუშათა და გლეხთა ხელისუფლება—საბჭოთა მმართველობა.

ეს მოხდა 25 თებერვალს.

ერთს წელიწადზე მეტია, რაც ეს ახალი ხელისუფლება არსებობს საქართველოში.

მართალია, ჯერ ვერ შევსძელით მსოფლიო ომისა და მენშევიკების მიერ დანგრეული მეურნეობა სრულიად აღგვედგინა, ჯერ ვერ შევსძელით მშრომელი ხალხის ცხოვრება სასიამოვნოდ მოგვეწყო, მაგრამ, ის რაც ამ მხრივ გაკეთდა ამ ერთი წლის განმავლობაში, მენშევიკებს არა გაუკეთებია სამი წლის განმავლობაში, და არც შეეძლოთ გაეკეთებიათ.

საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობა იწყება მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხი შეუერთდა რევოლიუციონურ რუსეთს, მას შემდეგ, რაც საქართველოში დაარსდა საბჭოთა წყობილება.

ეს მოხდა 25 თებერვალს.

საქართველოს მშრომელი ხალხიც ამ დღეს იდღესასწაულებს საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობას.

**სანდრო.**

## გენუას კონფერენციის შედეგები.

შეიძლება ითქვას, რომ გენუის კონფერენცია დამარცხებით დასრულდა.

მის მომწყობთა იმედები არ გამართლდა:

მან ვერ შესძლო ორი ქვეყნის-ძველი და ახლის, ბურჟუაზიული და სოციალისტური სახელმწიფოების შეთანხმება. გენუას კონფერენციაზე გამოაშკარავდა ამ ორი ერთი მეორის მოსისხლე და მოწინაალმდეგე კლასების ნამდვილი სახეები...

კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ანტანტის სახით უნდოდათ თავიანთი დანგრეულ მეურნეობის აღდგენა საბჭოს ფედერაციის ხალხის მოტყუებით. მაგრამ მოსტყუვდენ. მათ შავ განზრახვებს ნიღაბი ჩამოეხადა.

მსოფლიო მუშათა ხალხი დარწმუნდა მათ თვალთმაქცურობაში „მშვიდობიანობის“ აღდგენის შესახებ. მათ სურდათ საბჭოთა ფედერაციისათვის „წითელი იმპერიალიზმი“ დაეწამებინათ, მაგრამ ჩვენი დელეგაციის სახელით ამხ. ჩიჩერინის მიერ ყველა სახელმწიფოების განიარაღების შესახებ კითხვის დაყენების და კატეგორიულათ მოთხოვნის შემდეგ, მათ „პირი წყლით აევსოთ“ და „მშვიდობიანობის“ გზიდან გადახვევა ამჯობინეს.

ისინი დღეს არა თუ განიარაღებაზე ფიქრობენ, არამედ ცდილობენ უფრო საშინელი ომი დაატეხონ კაცობრიობას.

მეორე მხრივ გენუას კონფერენციაზე ყველასათვის თვალდანახული დარჩა საბჭოთა ფედერაციის სიმტკიცე და თავის პოზიციაზე მაგრათ დგომა.

და ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ჩვენი დელეგაცია გრძნობდა თვისკენ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ყურადღებას და თანაგრძობას,

ჩვენ გავიმარჯვეთ.

ბურჟუაზია უკან დაიხია. მას უნდა ჰაგიის ფრონტი შექმნას და იქიდან შეგვიტიოს...

ამასაც ვნახავთ.

ჯერ ჯერობით კი საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობა დღითი დღე მტკიცდება.

მართალია, ჩვენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ ოფიციალურათ არ ვართ ცნობილი, მაგრამ სინამდვილეში არა თუ ცნობილი ვართ, პირ იქით, არარის სახელმწიფო, რომელსაც არ სურდეს ჩვენთან სეპარატიულათ კავშირის შეკვრა.

საბჭოთა ფედერაციის ასეთმა სიძლიერემ აიძულა გერმანია მასთან რაპოლოს ცნობილი ხელშეკრულება დაედო. ამნაირად გენუას კონფერენციის შედეგებათ უნდა ჩაითვალოს საბჭოთა ფედერაციასთან ქიდილში ანტანტის სრული დამარცხება.

ამ ფაქტს უნდა გაეწიოს ანგარიში. ყოველმა მშრომელმა, განსაკუთრებით კი იმათმა, რომლებიც დღევანდელამდე პროლეტარიატის მოწინააღმდეგე ბანაკში იყო უნდა დაადგეს საბჭოთა ხელისუფლების გზას.

**ქანი**

## ამხ. წითელ-არმიელებო! დაეწაფეთ სწავლას. იგი თქვენი გონების გამფურჩქვნელია!

# დეპეშები
## მორეულ აღმოსავლეთში

ჩიტა, 22 მაისი (რადიო) კაპელეველთა შორის სრული დეზორგანიზაციაა. კაპელეველ ოფიცრობაშიაც სიძულვილი ურთიერთისადმი ძლიერდება. მერკულოვი კრებს ჯარს.

ვლადივოსტოკის ციხეში იტანჯება 400 მეტი პოლიტიკური პატიმარი.

## ლოიდ-ჯორჯი თუ გრეი.

გენუის კონფერენციის დასრულების შემდეგ ლონდონში ის აზრი მეფობს, რომ ლოიდ-ჯორჯი დამარცხებულია, ლოიდ-ჯორჯის მოადგილეთ ასახელებენ ლორდ გრეის, რომელიც მომხრეა ინგლის-საფრანგეთის და ამერიკის მჭიდრო თანამშრომლობისა.

## შავი სოციალისტები.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ქალ. კელნში (გერმანიაშია) გაიმართა მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირის შემდეგ გადასწვიტეს ჰააგაში მოწვეულ კონფერენციასთან ერთად საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მოწვევა.

## ოსმალეთ-საბერძნეთის ომი.

ანატოლიის ყველა ნავთსადგურებში მიღებულია ცნობები, რომ შ.ვ ზღვაზე დასცურავს საბერძნეთის ფლოტი. ოსმალური დროშების ქვეშ გემებს აკრძალული აქვთ ზღვაში გამოსვლა. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ბერძნებს განზრახვა აქვთ სტამბოლზე გალაშქრება. ინდოელი ჯარები ქალაქიდან გაიყვანეს.

## დახმარება დამშეულებს.

იტალიის წითელი ჯვრის განსაკუთრებული მისია მოვიდა ნოვოროსისკში. იტალიის მისია აქედან გაემგზავრება ვოლგის დამშეულ მხარეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ძახილი

ეი, მუშებო, შრომის გმირებო,
მტრის ბანაკისკენ გავსწიოთ ერთად,
ჩვენც თქვენთანა ვართ, არმიელები,
მშრომელთა რწმენა ვიწამოთ ღმერთად!

მაშ, ერთად ყველა მტრის ბანაკისკენ.
შრომის სამეფოს შევსწიროთ თავი
მტრებს მეხი დავსცეთ, გავანადგუროთ
შეუქმნათ ყოფნა გულისაკლავი!

წით. არმ. **ვ. სევდიშვილი.**

# ჩვენი კლუბები.

(გაგრძელება).

თითონ კლუბებმა უნდა მოახერხონ იშოვნონ საშუალებები და მოაწყონ კლუბები და ამ დროს მუდამ ახსოვდეთ რომ კლუბი უნდა გადაიქცეს ისეთ ადგილათ, სადაც წითელ არმიელთა მასსა მიიღებს ყოველმხრივ განვითარებას. რასაკვირველია, საჭიროა რომ ყველა წრეებში (დრამატიული, მუსიკალური და სხ). წითელ არმიელები იღებდენ მონაწილეობას: მაგრამ ეს რომ ასე იქნეს ამისათვის საჭიროა, რომ კლუბი იყოს სათანადოთ მოწყობილი და გადაიქცეს წახალისების სტიმულათ.

დრამატიული და ლიტერატურული წრეები თითქმის ყველა ნაწილთა კლუბებშია. ზოგიერთგან დრამატიული წრეები ვერ მუშაობენ ისე როგორც საჭიროა და იზეპირებენ მხოლოდ, პიესებს. 1-ლი მაისისათვის ეს ყველანი გამოვიდნენ და დაგვანახეს თავიანთი შეძლება ამა თუ ამ დარგში მომზადების მხრივ. მაგალითად, 1-ლი პოლკის და 2 საარტ. დივიზ. წრეები სისტემატიურად სცემენ ხელთნაწერ ჟურნალს, სადაც იწერება: მოთხრობები, ესკიზები, ლექსები და სხ. სამხატვრო წრე თავის ძალებით ასურათებს ასეთ ჟურნალებს.

განცვიფრებელ შედეგებს მიაღწია შეერთებულ სამხედრო სკოლის სამხ. სკოლის სამხატ. წრემ. გამოფენაზე, რომელიც მოაწყვეს აღნიშნულ სკოლაში თქვენს ყურადღებას მიიპყრობდა ბევრი კარგი სურათი და საკვირველია, წითელ არმიელს, რომელსაც თავის დღეში ყარანდაში არ აუღია იმის გულისათვის, რომ დაეხატა რაიმე, დღეს იგივე წითელ არმიელი გხიბლავს მაყურებელს თავისი ერთობ ნიჭიერათ დახატულის სურათით, თქვენ ამ გამოფენაზე ნახავდით მრავალ გვარ თემების დ მრავალ გვარათ ასრულებულ ნაწარმოებებს. უნდა აღინიშნოს უეჭველათ, განსაკუთრებული უნარი და ენერგია აღნიშნულ წრის ხელმძღვანელისა. მომღერალთა გუნდში სწავლობენ ქართულ სახალხო და რევოლიუციონურ სიმღერებს მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გუნდის ინსტრუქტორი, ვერ ხელმძღვანელობდა გუნდს ჯეროვანად. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს წრეები არიან დასაყრდნობი ძალა კლუბებისათვის და უამათოთ კლუბი ვერ იარსებებს. წრეები უნდა იყვნენ ურთიერთ შორის მჭიდრო კონტაკტში და მუშაობდნენ საერთო მიზნისათვის, რასაც შეადგენს კომუნისტური აგიტაცია ხელოვნების და მეცნიერების შესახებ, შეთანხმებულათ. თვითშემოქმედების საღამოებზე უნდა იღებდნენ მონაწილეობას ყველა წრეები.

1-ლ მაისს მოხდა ასეთი შეთანხმებული გამოსვლა.

ყველა ნაწილებში და განსაკუთრებით წ. ა. ცენტ. კლუბში ეწყობა კვირაში ორჯერ თვითშემოქმედების საღამოები, სადაც წრეები იღებენ მხურვალე მონაწილეობას.

ზოგიერთ ნაწილებში მოწვეულნი არიან მთელი ჯგუფები მსახიობთა, კლუბებში სამუშაოთ.

რასაკვირველია ბევრი ჩვენი წრეები როგორც უკვე ვსთქვით ვერ არიან სწორ გზაზე შემდგარი და ამ მხრივ ეს მოვლენაც არა სასურველია. წრეში სწავლება არ შეიძლება წრეში, თქვენ წითელ არმიელი მხოლოთ უნდა დააინტერესოთ და გაუღვიძოთ ინტერესი უკეთესობისაკენ წინსვლისა

პოლიტწრეების საქმე ჯერაც ვერაა მოგვარებული. ჯერ ჯერობით მხოლოდ ორ ნაწილშია პოლიტწრე მოწყობილი. საჭიროა, რომ ყველა პარტორგანოებმა და პოლიტ. გან. კომისიებმა მიაქციონ ამ გარემოებს ყურადღება. არ არსებობენ აგრეთვე სასოფლო-მეურნობაში სავარჯიშო წრეები. ყოველ შემთხვევაში ორი თვის უწინ ჩვენ გვქონდა მხოლოთ 20 წრე ეხლა კი არსებობს 40 წრეზე მეტი და მათში ირიცხება 800 კაცზე მეტი. ვიდრე წრეებს დავაყენებდით სათანადო დონეზე, საჭირო იყო მათი მოწყობა და თუ რუს წითელ არმიელთა კლუბებში, რომელთაც აქვთ 4 წლის ისტორია, მხოლოდ რამოდენიმე თვეა რაც მუშაობა სათანადო დონეზე დადგა რასაკვირველია, ჩვენი კლუბები სასწაულებს ვერ მოახდენდნენ, თუმც რუს წითელ არმიელთა კლუბებთან შედარებით ჩვენ მაინც მივაღწიეთ საყურადღებო შედეგებს.

სასურველია, რომ კლუბების მუშაკებმა შეიგნონ თავიანთი დანიშნულება და უფრო დიდის ყურადღებით მოიხმარონ ის მასალები, რომელთაც მათ უგზავნით სექცია, უნდა შეიგნონ ამასთავე ერთად ის ჭეშმარიტება რომ კლუბი— სხვადასხვა წრეთა კავშირია და მეტი არაფერი.

ასეთია ჩვენი აუცილებელი მოვალეობა.

**ეგიკოვი**




## პირველი მაისი მესამე პოლკში.

დილით, 29აპრილს, სკოლაში დანიშნულ გამოცდას დაესწრნენ: პოლკის უფროსი, ბრიგადის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი თალაკვაძე და მესამე პოლკის სამხედრო კომისარი. გამოცდამ სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. მეორე დღეს, დილით, სახელმწიფო თეატრში მოხდა გარნიზონის სამხედრო სკოლის კურს დამთავრებულ მოწაფეთა სადღესასწაულო ზეიმი. საზეიმო სიტყვები წარმოსთქვეს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სრულ ორ საათზედ ზეიმი დასრულდა, რის შემდეგ სამხ. სკოლის მოსწავლეები გაეშურენ თავიანთ ნაწილებისაკენ. მესამე პოლკის კურსდამთავრებულნი ჩამწკრივდენ თავიანთ სკოლის ეზოში, სადაც გამართულ იქმნა მიტინგი, გამოვიდნენ მოხსენებით უკოდინაროების ლიკვიდაციის შესახებ, წაუკითხეს და განსაკუთრებულ ბლანკებზე დაბეჭდილი ყველას დაურიგეს ამხ. ტროცკის მიმართვა. ბოლოს ღირსეულ მოსწავლეებს დაურიგეს საჩუქრები.

პირველ მაისს მესამე პოლკი გაეშურა ქალაქის ბაღისაკენ, სადაც მას დახვდა მთელი ქალაქის გარნიზონი და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენლები. პოლკმა აქ მიიღო წითელი ფიცი. საღამოს ყველა თეატრებში და კინემატოგრაფებში გამართულიყო უფასო წარმოდგენები და სურათები მიტინგებით, რომლებსაც დაესწრენ ყველა წითელ არმიელები.

პირველ მაისის ზეიმს ჩვენი პოლკი განსაკუთრებული ხალისით და მომზადებით შეხვდა.

მესამე პოლკის **სამხკომი**.

## ჩვენს ამხანაგებს.

თქვენ ამხანაგებო მსახურებთ წითელ არმიაში, რომელიც უდგას დარაჯათ ჩვენს საზღვრებს; როგორც გადმოგვცემენ ჩვენი უფროსი ამხანაგები ახალი გაზეთებით, ბურჟუაზია ფიქრობს თქვენს კისერზე უღლის დადგმასო; მართალია ის ევროპის ქოფაკები დიდი ხანია ფიქრობენ ჩვენს კისერზე უღლის დადგმას მაგრამ ჩვენ წითელი არმია მოგიწოდებთ თქვენ ვინც ჩვენ გაზეთებით გვატყობინებთ თუ ვინმე გადმოადგამს ჩვენს წინამდეგ უხეშ ნაბიჯს გთხოვთ მაშინვე შეგვატყობინოთ დ მიგვითითეთ ხელი იქით, სითაც ჩვენს თავისუფლების წინამდეგ წამოვლენ, რომ მედგრათ დაუდგეთ ჩვენს სადარაჯოზე ლახვარი ჩავცეთ იმ თეთრ გვარდიას, რომელიც შეყიდული ყავთ ევროპის ქოფაკებს, მაგრამ ისინი ვერ გაბედვენ ჩვენს წინაამდეგ ბრძოლას იმათმა იციან თუ როგორი მკლავი აქვს საბჭოთა წითელ არმიას იმათმა იციანრომ იმ კლავით უჭირავს წითელ ლაშქარს თავისუფლება და ამ თავის უფლებას არავის დაუთმობს მანამდი სანამ ჩვენს მაჯაში ერთი წვეთი სისხლი იმუშავებს;

და ჩვენ სამოსწავლო ძირითადი ათასეულის წითელი არმიელები ფიცსა ვდებთ რომ ჩვენ მედგრათ დავიცავთ ჩვენი მუშის და გლეხის ინტერესებს და არ გავახარებთ იმ დიდ ფაშიან ქოფაკებს რომლებიც ფიქრობენ ჩვენი თავისუფლების ფეხ ქვეშ გათელვას;

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს ჩვენს წინამძღოლ ბელადებს!

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს და მის მეთაურებს!

სამოსწავლო ძირითადი ათასეულის წითელი არმიელი **ლომთაძე.**

## სამხკორთა ბეჭდვითი ორგანიზაცია და მათი ამოცანები

მოხსენება სამხკორთა კონფერენციაზე ამხ. პ. ქუთათელაძისა.

**1. ბეჭდვითი ორგანოების მიზნები.**

1. ბეჭდვითი ორგანოები, რომელთა დანიშნულება წითელ-არმიელთა პოლიტიკურათ მომზადებისათვის და კულტურულათ ასამაღლებლათ მეტად დიდია, უნდა დარჩეს ფართეთ გავრცელებული წითელ არმიელთა მასაში, რომ ყველას შეეძლოს დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების შეცნობა.

2. ქართულ წითელი არმიის პერიოდულმა გაზეთმა „წითელ-არმიელმა", რომელმაც უეჭველათ უნდა იარსებოს, შესაფერისათ უნდა ემსახუროს თავის დანიშნულებას, რომ უბრალო კითხვაც კი პოლიტიკურ ცხოვრებაში, წ.-არმ. არ დარჩეს გაურკვეველი.

3. გაზეთი „წითელი არმიელი" მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დიდ მისიას წითელთა განვითარების საქმეში, როცა მას ფართოთ გაუწევენ დახმარებას თვით წითელ-არმიელები.

4. ამისათვის საჭიროა ქართული წითელი ლაშქრის ნაწილები მოიფინოს სამხედრო კორესპონდენტთა ქსელით, ე. ი. მოეწყოს სამხკორთა მტკიცე ორგანიზაცია.

**2. სამკორთა ორგანიზაცია**

5. ჩვეულებრივ სამხედრო კორესპონდენტათ, უნდა იქნეს გუნდის ან მის თანასწორ ნაწილის სამხკორი. გუნდის სამხკორს ირჩევს გუნდის შემადგენელი წითელი არმიელები.

ასარჩევ სამხკორის კანდიდატი წინდაწინვე აქვს კომუჯრედს წამოყენებული.

შემდეგ საფეხურზე სამკორთა ორგანიზაციისა იქნება ლეგიონის (ან მის თანასწორ ნაწილის) სამხკორი. ეს სამხკორები არიან იგივე „ინფორმატორები", რომლებიც ყველა ლეგიონში (ან მის თანასწორ ნაწილში) ნიშნავს პოლიტ-განყოფილება.

7. პასუხის-მგებელ სამხკორათ უნდა ჩაითვალოს ლეგიონის (ან მის თანასწორ ნაწილის) სამხ-ინფორმატორი რომელიც ამა თუ იმ ნაწილში თავისი დანიშნულებისთანვე, ღებულობს მანდატს პასუხის-მგებელ სამკორისას.

8. სამხკორ-ინფორმატორი პასუხის მგებელია გუნდების სამხკორთა ყოველგვარ მოქმედებაში.

9. იგივე სამკორი ვალდებულია სისტემატიურათ გააწყოს ლეგიონში ცოცხალი ზეპირი გაზეთები და დაარსოს „საგაზეთო წრე" ე. ი. გამოეყოს არმიელებიდან გაზეთების კარგათ წამკითხველნი და მათ დაავალოსთ წერა-კითხვის უცოდინართ უკითხონ სისტემატიურათ გაზეთი.

10. პასუხის მგებელნი სამხკორი ინფორმატორები მჭიდროთ არიან შეკავშირებული რედაქციასთან დახშირათ იკრიბებიან მასთან ამა თუ იმ საკითხების გადასაწყვეტათ.

11. როგორც გუნდის სამხკორის, ისე, პასუხის მგებელ სამკორ ინფორმატორის მოვალეობას შეადგენს, ესა თუ ის მომხდარი ფაქტი არმიის ნაწილებში, როგორც დადებითი ისე, უარყოფითი ხასიათის, გააშუქოს მიუდგომლათ დ გამოგზავნოს რედაქციაში.

12. სამხკორები, როგორც გუნდის ისე ლეგიონის, არა ნაკლებ ერთი წერილისა კვირაში უნდა აგზავნიდეს წერილს რედაქციაში.

13 ყველა სამხედრო კორესპონდენტი პასუხის მგებელია თავისი წერილებისთვის.

14. ფაქტები კორესპონდენციებში უნდა იქნეს გარკვეული მოკლეთ და კონკრეტიულათ.

15. ავტორების ვინაობა წერილებზე უნდა იქნას აღნიშნული სამხედრო კორესპონდენტები არ არიან ვალდებული სწერონ პრინციპიალური ხასიათის წერილები, მაგრამ თუ კი დასწერენ, უეჭველად წერილები უნდა ეხებოდეს დღიურ საჭირ-ბოროტო კითხვებს სამკორებს ევალებათ გაზეთი „წითელ არმიელის" შესახებ ხშირად გამოსთქვან თავიანთ აზრი და ყოველივე, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები წერილებით აცნობონ რედაქციას.

16. გაზეთში სისტემატიურად უნდა იქნეს გაშუქებული სამხედრო საქმე, (военное дело).

17. ამისათვის საჭიროა სამხედრო საქმის სხვა და სხვა დარგისთვის გვყავდეს მწერალი სპეციალისტები, რომლებმაც უნდა იცოდენ სამხედრო ხელოვნება.

სამხკორთა კანდიდატურას ამ სამხედრო საქმეებში წამოაყენებს ბრიგადის შტაბი, რომელიც რედაქციასთან ერთად ამტკიცებს მათ სამხკორებათ.

**III. ბეჭვდითი ორგანოს ორგანიზაცია.**

1. წითელ არმიისთვის, რადგან აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გაზეთი ამისთვის მისი ორგანიზაციის და მოწყობის საქმე პოლიტგანყოფილების მიერ სასურველ დონეზე უნდა იქნეს დაყენებული.

2. ჯერ-ჯერობით ტეხნიკური მიზე-

# ჩვენს საარტილერიო დივიზიონში

მეორე შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის ახალ მოწყობილ კლუბში 12 მაისს დრამატიულ და სალიტერატურო წრის ადგილობრივ ძალების მიერ დადგმულ იქნა ს. ერთაწმინდელის პიესა „დაჭრილი ორბი“ და მოხდა ლიტერატურული გასამართლება ევგ. ნინოშვილის მოთხრობის გმირის ქრისტინესი. ლიტერატურულ წრის ხელმძღვანელს სათანადო მომზადებული არ დაურჩა თავისი მოწაფეები, მაგრამ მიუხედავად ამისა საერთო შთაბეჭდილება მაინც დამაკმაყოფილებელი იყო. სასამართლოს თავმჯდომარეობდა ამხ. მათითაშვილი. სასამართლოს განაჩენით ქრისტინე გამართლებულ იქმნა. პოლიტხელმძღვანელმა ამხ. მათითაიშვილმა დამსწრეთ ვრცლად გააცნო განაჩენის ყველა მუხლები, რომლის ძალითაც გამართლებულ იქმნა ქრისტინე.

განაჩენის ახსნა-განმარტებას მათითაიშვილი დიდხანს მოუნდა, რამაც გამოიწვია ამხ. ვრიგორიანცის წერილობითი წინადადება: სიტყვა მოკლეთ ეთქვა. ამ გარემოებამ გამოიწვია არა სასურველი მოვლენა: მათითაიშვილი და გრიგორიანცი ერთმანეთს გაუმასპინძლდენ უხეირო სიტყვებით.

პიესა “დაჭრილი ორბი“ სუსტად იყო დადგმული. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სალამომ წითელ არმიელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სასურველია, რომ ყოველ წრის ხელმძღვანელი უფრო მეტს უნარს იჩენდეს.

ალიკო.

# დეზერტირის გასამართლება.

საქართველოს წითელ ლაშქრის ნაწილებში პოლიტიკურ ხელმძღვანელთა თაოსნობით ხშირად იმართება რომელიმე გმირის ლიტერატურული გასამართლება.

ავიღოთ ნეტარხსენებული „ლუარსაბ თათქარიძე“, ან აწ უკვე გახუნებული „ტარიელ მკლავაძე“, ან საცოდავი „ქრისტინე“...

რა საგულისხმიერო მასალაა წითელ არმიელთა აზროვნების გასაცხოველებლად!

ჩვენი ცხოვრება სავსეა ათასგვარ ჯურის გმირებით. შეიძლება ბევრი ამ გმირთაგანი წითელ არმიელთათვის უფრო თანამედროვე და ნაცნობი იყოს. არის ერთი გმირი, რომლის გასამართლებას ადვილად შესძლებს ყოველი წითელ არმიელი. ამისთვის არც თუ დიდი მომზადებაა საჭირო.

ეს გმირი გახლავთ „დეზერტირი“, რომელიც სამწუხაროდ, ყოველ ნაწილში მოიძებნება.

დეზერტირი-მოღალატე რესპუბლიკის, ამხანაგების, პატიოსან შრომის.

ვინ იქნება ასეთი გმირის დამცველი? თუ გნებავთ ახლად ჩამოყვანილი დეზერტირი, ან ნადეზერტირალი.

მაგრამ თუ ნაწილი ისეთი სამაგალითოა, რომ არც პირველი და არც მეორე არ მოეძებნება—მაშინ შესაძლებელია ვინმეს დაეკისროს ასეთი გმირის დაცვა. ძნელია დეზერტირის დამცველის როლში გამოსვლა, მაგრამ რადგან საქმე მოითხოვს რა გაეწყობა.

წითელ არმიელი გიგლა.

# რევოლუციის გმირები



## კავკასიის განსაკუთრებულ არმიის სამხედრო რევ. საბჭოს და რუსეთის კომპარტიის თვალსაჩინო წევრი ამხ. სერგო ორჯონიკიძე.

ამხ. სერგო ორჯონიკიძე რუსეთის კომუნისტურ პარტიის (ბოლშევ.) უძველესი წევრია. იგი ცნობილია, როგორც გამოჩენილი ბოლშევიკი რევოლიუციონერი, არაჩვეულებრივ ორგანიზატორის და ადმინისტრატორის ნიჭით დაჯილდოებული.

სამოქალაქო ომში აქტიურ მონაწილეობას იღებს და სხვა და სხვა ფრონტებზე საპასუხისმგებლო პოსტები უჭირავს, როგორც სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრს. კავკასიის, უფრო კი ამიერ კავკასიის. განთავისუფლება მოხდა მისი პირდაპირი ხელმძღვანელობით.

ამ ჟამად ამხ. სერგო ორჯონიკიძე კავკასიის განსაკუთრებულ არმიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრია და ამავე დროს წევრია აგრეთვე რუსეთის კომპარტიის ცეკასი, სრულიად რუსეთის საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის, რ. კ. პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის, საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასკომის და მრავალ სხვა საბჭოთა პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებისა.

X.

# ჩვენ ვდგევართ სადარაჯოზე.

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ მარკოვისა, და გვალიასი საერთაშორისო მდგომარეობისა და გენუას კონფერენციის შესახებ დავადგინეთ შემდეგი: ჩვენ ს. მუხროვანში მდგომ 1-ლ ბატარეის წ-არმ. და უფროს შემადგენლობა 2-საარტილერიო დივიზიონისა ვესალმებით საბჭოთა დელეგაციას და მათ პოლიტიკას. აგრეთვე ვაცხადებთ, რომ თუ განიზრახა მსოფლიო ბურჟუაზიამ და მათმა აგენტებმა გენუაში მშვიდობიანობის ჩამოგდების წინააღმდეგობა. ჩვენ როგორც ერთი მზათა ვდგევართ სადარაჯოზე იარაღით ხელში და ნებას არავის მივცემთ რაიმე ცუდი განძრახვა იქონიოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ბატარეის სამხკორი

ნატბეროველი კლემენტი

# დეზერტირები ვონს მოდიან და წითელ არმიის რიგებში დგებიან.

პოლიტ-კულტურული მუშაობა ჩქარი ტემპით მიდის წინ ჩვენს ნაწილებში. და ჩვენი ნაწილებშიც რამდენათ იკიდებს ფეხს შეგნება განვითარება, იმდენათ მას-

ზების გამო გაზეთი გამოვა კვირაში ორჯერ, გადიდებული ფორმატით ე. ი. ოთხ გვერდზე.

3. რედაქცია თან და თანობით ეცდება გადავიდეს ყოველ-დღიურ გაზეთის გამოცემაზე.

4. რედაქციამ უნდა შეუწყოს ხელი არმიელებში ლიტერატურული ნიჭის გაფურჩქვნას, ამისათვის საჭიროა „წითელი ყვავილები“ შემდეგში გამოვიდეს სისტემატიურათ 15 დღეში ერთხელ.

5. „წითელ ყვავილებში“ მეტ ნაწილად უნდა თანამშრომლობდნენ თვით არმიელები პოეტები და მწერლები.

6. რედაქციის მიერ უნდა ხდებოდეს ნაწარმოებების განხილვა და ჟურნალში უნდა მოთავსდეს მხოლოდ ისეთი ნაწერები, რომლებიც ექვემდებარებიან პრინციპს პროლეტარიულ მწერლობისას

7. იმ ნაწერებს, რომლებსაც უდის სუნი ბურჟუაზიულ ხელოვნების არ შეიძლება მოთავსდეს ჩვენს ჟურნალში.

8. სარედაქციო-საგამომცემლო ნაწილის მიზანს შეადგენს ამ მოკლე ხანში გამოსცეს სხვა და სხვა ბროშიურები როგორც ნათარგმნი ისე ორიგინალური და გამოსცეს ყოველ-თვიური ჟურნალი სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო.

# როგორ და ვისგან იქმნება გაზეთი.

გაზეთებს ბევრი კითხულობს ბევრისგან გაიგონებთ სხვა და სხვა შენიშვნებს გაზეთის შინაარსისა და ტექნიკის შესახებ, მაგრამ მათ შორის ძალიან ცოტა არიან ისეთები, რომლებმაც იცოდენ თუ როგორი მუშაობა წარმოებს გაზეთის გარშემო და ვინ რა ფუნქციებს ასრულებს. მკითხველ წითელარმიელს, რომელსაც რედაქციასთან არავითარი კავშირი არ აქვს, რასაკვირველია მიეტოვება გაზეთზე მუშაობის არ ცოდნა. მაგრამ იმ წითელ არმიელებს, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვსთ გაზეთის რედაქციასთან და პასუხის მგებელნიც არიან მისი შინაარსის და ტეხნიკური მხარეების ავ-კარგიანობაში, უსათუოდ უნდა მოეთხოვოს ელემენტარული ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორი მუშაობა წარმოებს, ვინ ან რა ფუნქციებს ასრულებს, ესე იგი როგორ იქნება გაზეთი. ასეთი წითელ არმიელები არიან პირველ ყოვლისა სამხედრო კორესპონდენტები. (სამკორები).

გაზეთი იქმნება ორ ადგილას, რედაქციაში და სტამბაში, რედაქციაში მზადდება გაზეთის მასალები.

რაც ღარიბი რედაქცია არ უნდა იყოს საჭიროა ორი ოთახი. ერთი რედაქტორისათვის, მეორე კი მდივნისა და თანამშრომლებისათვის.

რედაქტორი—რედაქციის ტვინია, მდივანი—მისი ნერვები, თანამშრომლები—კი აღმასრულებელი მუსკულები.

მდივანი ღებულობს მასალებს, წერილებს, დეპეშებს და სხვა, ამავე დროს მოლაპარაკებას მართავს ავტორებთან.

თანამშრომლები აძლევენ ლიტერატურულ სახეს გადაიმუშავებენ და შემდეგ გადადის რედაქტორის ხელში.

ეს უკანასკნელი აძლევს მდივანს გასანაწილებლად როცა მორიგი ნომრის მასალები მზათ არის, ეს მასალები იგზავნება სტამბაში, სადაც მასალებს ღებულობს უფროსი ასოთ-ამწყობი—„მეტრანპაჟე“ ამ უკანასკნელს მიაქვს მასალები ასაწყობ ოთახში, (наборное отделение) მაღალი ხის დასადგმელები (подставки) რომლებსაც ქვია „რეალები“. ამ რეალებში ჩაწყობილია ათიოდე კასები. პატარა ოთხკუთხებიანი უჯრებით რომლებიც სავსეა ლითონის ასოებით (შრიფტები) თითო კასას ყავს თავისი ასოთ-ამწყობი. სადაც უნაწილებს ასაწყობათ მასალებს ასოთ-ამწყობებს. ასაწყობი ოთახი წარმოადგენს დიდ ოთახს, სადაც დგანან

როცა ასოთ-ამწყობი ღებულობს მასალას ასაწყობათ მეტრანპაჟისაგან, ის იარაღდება „ვერსტატკით“ (ასაწყობი იარაღი) იქ იწყება ასოთ-ამწყობის თითების მუშაობა, რომელიც დგას კასის წინ და უჯრებიდან ღებულობს ასოებს, რომლებიდანაც იწყობა ვერსტატზე სტრიქონები, და ვერსტატკიდან „გრანკაზე“ გადააქვთ რამდენიმე ხნის განმავლობაში მასალა აწყობილია ამ რიგად ასოთ-ამწყობი აერთებს სტრიქონებს ერთად და კრავს კანაფით, რომლის შემდეგ ხელის მანქანაზე იღება „ოტისკი“ მეტრანპაჟე ოტისკებს აძლევს კორექტორს, რომელმაც უნდა გაასწოროს შეცდომები ასოთ-ამწყობის მიერ დაშვებული.

ამ შეცდომებს ასწორებს ასოთ-ამწყობი.

ამის შემდეგ იწყობა აწყობილ მასალების რიგზე დაწყობა, რომელსაც აკეთებს „მეტრანპაჟე“. ეს კეთდება შემდეგ ნაირათ. საჭიროა რიგის და მიხედვით დაიწყოს მასალები სვეტებათ და გვერდებათ.

ამისათვის ფოლადიან გძელ მაგიდაზე დევს (поверхность) რამდენიმე ათეული „გრანკები“,

აქვე შეიძლება მეტრანპაჟეს ქონდეს ჩამოწერილი რიგი რედაქტორის ან მდივნის მიერ შედგენილი, ან კიდევ შეიძლება იდგეს პირი, რომელსაც ეძახიან გამომშობელს, (выпускающи) რომელსაც უკავია ხელში მასალების ოტისკები და თანახმად რედაქტორის, ან მდივნის განაწილებსა, ეუბნება მეტრანპაჟეს მასალების დაწყობის რიგს:

როცა მასალები დაიწყობა იმდენ სვეტებათ, რომ საკმაო არის გაზეთის გვერდისათვის, მაშინ გვერდი იკვრება მაგრათ წვრილი კანაფით (შპაგატით) შემდეგ ამისა აწყობილი გვერდი მიაქვთ მანქანაზე, სადაც კვლავ ამოიღება ოტისკი, ხელმეორეთ თვალიერდება კორექტორის მიერ და შეცდომები სწორდება მორიგი ასოთ-ამწყობის მიერ.

ამ რიგათ, როცა გვერდები გასწორდება, ამ უკანასკნელთ აწყობენ ფართო, ფოლადიან დაფაზე, რომელსაც ეძახიან „ტალერს“. ამ დროს მანქანის განყოფილებაში გამოჩნდება მემანქანე—მბეჭდავი. ის აწყობს ტალერზე დაწყობილ გვერდებს რკინის ჩარჩოებში ეს რიგზე, ისე, როგორც ეს საჭირო არის შემდეგ ხელში აიღებს ხის პატარა ნაჭერს და სცემს ჩაქუჩს ასოებს, რათა ერთმანეთს გაუსწორდენ შრიფტები.

ესეც გათავდა. ყველაფერი მზათ არის.

მანქანის თავზე, ფართო ფიცარი დევს რომელზედაც აწყვია ქაღალდები.

მანქანა მოჰყავთ მოძრაობაში დაწყობილ ქაღალდებიდან თითოეულ ფურცელს აძლევენ მანქანას, საიდანაც გამოდის თეთრი ქაღალდი უკვე გაზეთებათ.

რამდენიმე საათის შემდეგ გაზეთი უკვე მზად არის.

ამ რიგად იბეჭდება გაზეთი და ასე სდგას მისი გამოცემას საქმე.

სან-ო.

ში მცირდება დიზერტირობა, აი ამის დასამტკიცებლათ ერთი მშვენიერი მაგალითი: 1 თვის წინათ მე-2-რე საარტილერიო დივიზიონმა მე-2-რე ბატარეიას გამოუგზავნა ერთი დეზერტირი რომელიც იყო მუშა გლეხი და რომელსაც სხვსებით წარმოდგენა არ ქონდა დღევანდელ წესწყობილებაზე.

გაიგო რა დეზერტირი იუდაა და ლაქია თავადების გაიგო რა, მუშურ გლეხური მთავრობა აწვდის მას სულიერ საზრდოს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუშების და გლეხების ცხოვრების გაფაქიზებისათვის ერთ თავის წერილში რომელმაც წერაც ახლა შეისწავლა დაჰგმო დეზერტირობა, რომლის შესახებ მოთავსებულ იქნება წერილი ჩვენი ჟურნალის ახალ ნომერში. ამ გვარათ ჩვენს ბატარეიაში დეზერტირობა ისპობა.

ევ. ცომაია.

# ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲘᲑᲐᲫᲝᲜ!

I

(კავესკადრონის პოლიტგანმანათლებელ კომისიის ცნობა)

ამხანაგ ქარუმიძის მოსვლამდე ქართულ სამოსწავლო კავესკადრონის ბიბლიოთეკა ფრიად ცუდ პირობებში იყო. მაგრამ ქარუმიძის ენერგიულ შრომის წყალობით ბიბლიოთეკის საქმე შესამჩნევად გაუმჯობესდა. ამხ. წითელ არმიელები უფრო მეტის სიხალისით ეპყრობიან ბიბლიოთეკას პოლიტგანმანათლებელი კომისია სცნობს ამხ. ქარუმიძეს სამაგალითო შრომის მოყვარე და საქმისადმი ერთგულ მუშაკად.

პოლიტგანმანათლებელ კომისიის თავმჯდომარე ჰანკვეტაძე

II

(სამკომის ცნობა.)

ვაცნობებ პოლიტგანყოფილების საბიბლიოთეკო სექციას, რომ ბიბლიოთეკარი ამხ. ქარუმიძე ენერგიულად და ნაყოფიერად ცდილობს აამაღლოს წითელ-არმიელთა სულიერი მოთხოვნილება. პოლიტგანმანათლებელ მუშაობას ქარუმიძე ხამაგალითო მუყაითობით ეწევა: კითხულობს მოხსენებებს, მოთხრობებს, გაზეთებს, წით. არმიელები დააინტერესა წიგნით. მე პირადათ ძლიერ კმაყოფილი ვარ ამხ. ქარუმიძის მუშაობით.

სამოსწავლო კავესკადრონის სამკომი:

ჯაფარიძე

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ.

ა. წ. 30 აპრილს სამხედრო სკოლაში გაიმართა დიდი ზეიმი უმწყობრო გუნდის წითელ-არმიელთა წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის გამო.

ჯერ გაიმართა კრება, რომელზედაც შესაფერი სიტყვით მიმართა კრებას სახალხო კომისრის თანაშემწე ამხ. კუზნეცოვმა. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ამხ. ტალახაძემ 1 მაისის მნიშვნელობისა და გენუა კონფერენციის შესახებ, რის შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია.

ზევრი მისალოცი სიტყვები წარმოითქვა იმ წითელ-არმიელების მიმართ, რომელთაც ეხლა შეისწავლეს წერა-კითხვა. მეტად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ერთმა წითელ-არმიელმა. ბოლოს მიესალმა სამხედრო სკოლის უფროსი წითელ-არმიელებს და მათ მასწავლებელს ამხ. როზმბეს, რომელთაც სხვადასხვა საჩუქრები დაურიგა. სხვათა შორის დარიგდა სახელმძღვანელო წიგნები.

კრების შემდეგ საგანგებოთ გაუმჯობესებულ სადილზე მიიწვიეს სუყველანი, რის შემდეგ კურსანტები მეტათ მხიარული და კმაყოფილნი დაიშალნენ.

სამხკორი ი. ნიკალაიშვილი.

# ᲩᲕᲔᲜ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ.

ჩვენ გვესმოდა: „იარაღით ხელში, დაიცავით სამშობლო თქვენიო“.

მართლაც გულუბრყვილო მშრომელ ხალხს სჯეროდა მათი და ისიც მიეშურებოდა ბრძოლის ველისკენ და მოღალატე გამცემლების წაქეზებით ერთი მეორეს ჟლეტავდნენ...

აი, ის ისტორიული, აუნაზღაურებელი დანაშაული, იმ ვაჟბატონებისა, რომლებიც ტრიალებდნენ შეუგნებელ ფართო მასაში, და სარგებლობდნენ რა მათი სიბნელით, ერთი მეორეს უსევდნენ ამოსახოცად.

დღეს კი, ყველასათვის ცხადია, თუ ვინ ვართ ჩვენ და ვინ არის ჩვენი მტერი და მოყვარე! დღეს გამოვერკვიეთ იმ ბურუსიდან, რომელშიც გახვევდენ ბურჟუაზიის ლაქიები ბ. ბ. მენშევიკები და დავადექით იმ გარკვეულ გზას, რომელსაც მივყევართ ჩვენ განაწამებ მშრომელი კაცობრიობის სამუდამოთ განსათავისუფლებლად. და ჩვენც, წითელ არმიელები, თოფით ხელში თამამად მივდივართ ამ გზაზე და გვწამს, რომ საბოლოო გამარჯვებაც ჩვენ დაგვირჩება. გაუმარჯოს ამ ჩვენს მედგარს და გაბედულ წინსვლას!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას და მის ბელადებს ამხ. ლენინს და ტროცკის!

წ.-არ. ვ. ჯღერია.

ჩრდილოეთიდან სამხრეთით მასში გამოყვანილია გვირაბი რკინის გზისა. გვირაბის თავზე გადადის შარა გზა, რომელსაც იმერეთის სამხედრო გზას ეძახიან. სად. გომიდან მიდის საურმე გზა სად. შორაპნისაკენ რომელიც ჯვარის უღელტეხილზე გადადის.

ახალციხის მთაგრეხილი, იწყება საალაილის მთიდან და დასავლეთით გრძელდება. ამ მთაგრეხილზე ბევრია გადასავლები, მაგრამ ღირს შესანიშნავი სუღელტეხელია, რომელზედაც გადამავალი შარაგზა აერთებს ქ. ქუთაისს ახალციხესთან. როგორც წინად მოგახსენეთ უმეტესი სივრცე გუბერნიისა ვაკე მაღლობებს უჭირავს რომლის დაწვრილებით შესწავლას ჩვენ არ შეუდგებით. გუბერნიის ოროგრაფიის შესწავლის დროს კარგი იქნებოდა ამხანაგი მეუფროსენი და წითელ არმიელთა სკოლების მასწავლებლები რუკებს მიმართავდნენ და დაწვრილებით გაეცნობდენ ყველა ზემოხსენებულს.

(შემდეგი იქნება)

ალ. გ—ძე.




# ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ.

(პარიზი. რადიო ჭორი)

ბარტუს საწოლ ოთახში
მენშევიკი ხვრინავდა,
ნეტარებდა სიზმარში,
ფრთები ესხა ფრინავდა
საქართველოს მიდამოს
ვითომ თავს evლებოდა,
ბენიასთან სამოვრით
ღვინოს სვამდა, თვრებოდა
„უჩრედილკა“-ს სხდომაზე
ლომთათიძეს უსმენდა,
კედიას და გვაზავას
ცალი თვალით უმზერდა
ქართველ დემოკრატიას
ვითომ გუნდრუკს უკვევდა,
მასთან მომარაგების
საწყობს უთვალთვალებდა.
ტურფა საქართველოში
იყო ძველი ყოველი
(ლიპიანი ბურჟუაც,
მუშის სისხლის მწოველი)
და ამ ტკბილი სიზმარით
ის საწოლზე გორავდა
ერთიც წამოწია..
იატაკზე გორავდა...

ლახვარი.

# ᲡᲐᲦᲐᲛᲝ-ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ.

შაბათს, 13 მაისს თბილისის და მისი რაიონების სამხედრო კომისარიატმა მოაწყო წარმოდგენა-საღამო საქართველოს დამშეულთა და გაზ. „წით.-არმიელის“ სასარგებლოთ.

წარმოდგენას ხელმძღვანელობდა პოლიტ-კულტ-განმ. კომისია.

საღამომ მოლოდინს გადააჭარბა, პროგრამის შესრულებით, თუმცა აუდიტორია ცუდი ამინდის გამო საშუალოზე ნაკლები იყო.

პირველად მოსმენილ იქმნა ჩვენი ქალაქა მასწავლებლის და საქართველოს პროლეტ-კულტის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის ამხ. რაჟდენ კალაძის მოხსენება.

მოხსენება შინაარსიანი იყო. შემდეგ გამოვიდნენ თავიანთი ნაწარმოებით პროლეტარიატის პოეტები და მწერლები:

სანდრო ეული, პეტრე სამსონიძე, იაკინთე ლისაშვილი, გოგიტო ციმბირელი, ცის-ზარი, იონა ვაკელი. ციმბირელის ლექსები წაიკითხა ოლია დოლიძემ. საერთოდ ლიტერატურულმა ნაწილმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ამ საღამოს ნათლათ სჩანდა, რომ პროლეტარული პოეტები სერიოზული მოვლენა არის საქართველოს სინამდვილეში, რომ იმათმა შესძლეს ახახვა ის ტორიულ ქარტეხილისა, მსოფლიოს მარადიულ ცვალებადობის კონცეპციაში.

ჩვენ ვუსურვებთ პროლეტარულ პოეტებს განაგრძოთ ენერგიულად მათ მიერ დაწყებული საქმე, რომ ასეთ საღამოებზე უფრო დასრულებული გვენახოს მუშათა კლასის წარმომადგენლები, მუშათა პოეტები.

დასასრულ დადგმულ იქმნა ფოცხვერაშვილი 3 მოქ. კომ. „აშენდა საქართველო“. პიესა მისაღებია იმ მხრით, რომ ავტორი შიგ ამათრახებს ჩვენს, ქართველ სტუდენტობას, რომელნიც პეტერბურღში ქეიფით ატარებდნენ დროს და არაფერს არ აკეთებდნენ ხწავლის შეძენის საქმეში.

ისინი ისე დაწვრილმანებულნი არიან სულიერად რომ სულ იმის ფიქრში არიან თუ როდის იქნეს უნივერსიტეტს გაათავებენ და მიიღებენ მოსამართლის, ან რომელიმე სხვა მოხელის თანამდებობას.

ეს პიესა დაიდგა ბოლოში ჯაყელის რეჟისორობით, უნდა ითქვას, რომ რეჟისორს აქვს ამ საქმისადმი დიდი სიყვარული.

პიესა კარგათ ჩაატარა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა გ. ციმბირელი (კობიძე), რომელიც იმერელი ბიჭის ტიპიური გამოხატვა იყო მისი მთელი არსებით.

დაუფასებელი იყო აგრეთვე ჯაყელი გიგას როლში, როდესაც საშას თამაშობდა სიფერმკრთალე ეტყობოდა, ალბათ ეს თვით როლის ბრალი იყო.

საშუალოდ შეასრულეს თავიანთი როლები: მამულაშვილმა, ლაფერაშვილმა და ტილურაძემ.

ტიპიური შემსრულებელი იყო აგრეთვე მანუჩარის როლისა, ა. ქლენტი, რომელსაც საკმაოთ ეტყობოდა როლში შესვლა და მისი განცდა.

საღამო გათავდა ღამის 1 საათზე.

საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

ი—მ—ე.



# ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲓᲐᲜ.

(გაგრძელება)

ჩვენ, რომ საქართველოს რუკას დავაკვირდეთ ნათლად დავინახავთ, რომ ქუთაისის გუბერნია წარმოადგენს მთიან ადგილს. მთელი გუბერნიის სივრცის ცხრა მეათედი დაფარულია მთებით და მხოლოდ ერთ მეათედს შეადგენს დაბლობები. დაბლობი მდ. რიონის შუა წელის მიდამოებშია, ქ. ქუთაისის ქვემოდ. დანარჩენი კი როგორც ზემოდ მოგახსენეთ, უკავია მაღლობებს, რომელიც ეკუთვნის სამ მთავარ მთის სისტემას, როგორც არის მაგალითად: მთავარი კავკასიონის ქედი, ახალციხის და სურამის. მთავარ კავკასიონის ქედს ძველ ბერძნულ მწერლობაშიაც კავკასს ეძახდენ, როგორც ეს გვხდება ესხილოსისა და ჰეროდოტეს ნაწერებში.

შემდეგ ამავე მთავარი ქედიდან გამოიყოფა ბზიბის მთა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 9,000 ფუტ. არ აღემატება. კოდორის მთაგრეხილი უზუნკალის მთით არის გამოყოფილი კავკასიონს. სვანეთის მთაგრეხილი, რომლის სიმაღლე 13,000 ფუტს არ აღემატება, გამოყოფილია კავკასიონიდან წურუნგელის მთის საშუალებით.

ლეჩხუმის მთაგრეხილი იწყება ფასის მთიდან და სვანეთის მთას პარალელურად მიყვება დასავლეთისაკენ. რაჭის მთაგრეხილი იწყება ზიკარის მთიდან, რომელიც აგრეთვე ტოტია მთავარი კავკასიონის ქედისა მისი სიმაღლე ზოგიერთგან 9,000 ფუტს აღწევს.

მთავარი მწვერვალები კავკასიონის ქედზე არის შემდეგი: იალბუზი (118,470ფ.) დიხტაუ 117,043ფ. შხარა მეორე (17,007 ფ.) კაშტან ტაუ (16,881 ფ.) შხარა პირველი (16,593ფ.) ჯანგატაუ (16,564 ფ.)

კავკასიონის ქედზე ქუთაისის გუბერნიის ფარგლებში თითქმის 24 უღელტეხილია, რომელთა შორის უფრო ღირს შესანიშნავია: მამისონის, კლუხორის და ნახარის.

სურამის მთაგრეხილი აკავშირებს ერთი მეორეში დიდს და პატარა კავკასიონის მთებსა იგი გაგრძელებული

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

რედაქტორი ხ. ქურიძე.